პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების მისია-ამოცანები ეფუძნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებს.</p> <p>მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სრული ჩართულობა ს/ზაღებში.</p> <p>მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 1 ქალაქის ბაგა-ბაღი და 19 ს/ზაღი, სადაც ჩართულია 530 აღსაზრდელი.</p> <p>გაერთიანებაში დასაქმებულია 227 თანამშრომელი; მ.შ 20 ს/ზაღის უფროსი; აღმზრდელ-პედაგოგი და შემცვლელი-57, აღმზრდელის თანამშრომელი-28, მზარეული-26 და სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე ტექნიკური პერსონალი.</p> <p>ს/ზაღებში სააღმზრდელო საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.</p> <p>გამომდინარე აქედან საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ბავშვის პიროვნული სოციალური და აკადემიური განვითარება, მომსახურების საყოველთაო ხელმისაწვდომობა, ხარისხის უზრუნველყოფა, ბავშვის განვითარებისადმი მთლიანობითი მიდგომა, ბავშვის უფლებათა კონვენციის დაცვა, ჯანსაღი კვება, უსაფრთხო გარემო, სკოლისათვის მზაობა, ინკლუზიური განათლება, სტანდარტის შესაბამისი, სწორად დაგეგმილი ბავშვზე ორიენტირებული კულუკულუმი, კვალიფიციური კადრები.</p> <p>ს/ზაღებში დასაქმებული ყველა აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი და მუსიკის მასწავლებელი სერთიფიცირებულია. სანიტარულ- ჰიგიენური და კვების ნორმები ძირითადად შეესაბამება მთავრობის №485 და №487 დადგენილებების მოთხოვნებს. ს/ზაღები უზრუნველყოფილი არიან ცივი და ცხელი წყლით, წელიწადში ერთხელ ტარდება წყლის ლაბორატორიული კვლევა, არსებობს გათბობის სისტემა, გაზირება, ბრეკეტის ღუმელი და ელექტროქურები. მიმდინარეობს HACCP-ის პროგრამის განხორციელება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით. სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები, სააღმზრდელო დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	04 02		585.8
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	დაგეგმილია საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით - 585.8 ათ. ლარი; (საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N56 განკარგულებით)		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა საჯარო სკოლებში		

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ღონისძიებების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		15.8
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		



<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: ფოტოკონკურსი: „ჩემი თვალით დანახული აბაშა“; მერის სტიპენდია განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისთვის; ბავშვთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა; საჯარო სკოლების მიერ შერჩეული დგაწმომოსილი პედაგოგების და მასწავლებლის ეროვნულ პრემიაზე რეგისტრირებულ კანდიდატებთან საზეიმო შეხვედრა და დაჯილდოება.</p> <p>ფოტოხელოვნებით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის ტრენინგის მოწყობა, რის საფუძველზეც ისინი შეისწავლიან ფოტოგრაფიის ტექნიკას, პრაქტიკულად განახორციელებენ ფოტოგრაფირებას. მათ მიერ წარმოდგენილ მასალას გადაარჩევს მოწვეული ტრენერი. მოხდება ფოტოების დაბეჭდვა-გამოფენა და გამარჯვებული მოსწავლეების გამოვლენა-დაჯილდოება; აკრედიტებული უნივერსიტეტების მაღალი აკადემიური მოსწრების 10 აბაშელი სტუდენტი, რომლებიც აგრეთვე გამოირჩევიან სხვადასხვა მიმართულებით გამოვლენილი განსაკუთრებული ნიჭით და წარმატებით, 9 თვის განმავლობაში ყოველთვიურად მიიღებენ მერის სახელობის სტიპენდიას ჯამური თანხით 9100 ლარი</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ფოტოხელოვნებით დაინტერესებული მოსწავლეების გამოვლენა, გადამზადება და წარმოჩენა, რითაც მოხდება მათთვის საინტერესო სფეროში მოტივაციის ამაღლება შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის; მაღალი აკადემიური მოსწრების და ამავდროულად განსაკუთრებული ნიჭის მქონე აბაშელი სტუდენტების გამოვლენა, წახალისება და ფინანსური მხარდაჭერა იმ მიზნით, რომ ისინი დაუბრუნდებიან მშობლიურ მუნიციპალიტეტს ახალი იდეებით, სტრატეგიებით და ხელს შეუწყობენ მუნიციპალიტეტის განვითარებას თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად;</p>

მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2557.9 ათასი ლარი. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	2557.9
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1325.6
05 01 01	სპორტის ცენტრის ხელშეწყობა	700.0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	256.8
05 01 03	სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია	353.8
05 01 04	სპორტული ღონისძიებები	15.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1218.3
05 02 01	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების ხელშეწყობა	1078.8
05 02 02	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	39.5
05 02 03	სხვა კულტურული ღონისძიებები	50.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	14.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		700.0



პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი
პროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტის ცენტრი აერთიანებს: ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს, ტურიზმის განვითარების მართვის სამსახურს, იპოდრომის მართვის სამსახურს და სპორტსკოლას, სადაც მოქმედებს 11 სპორტული სახეობა. ესენია: ბალახის ჰოკეი 40 ბავშვი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა 24 ბავშვი, ძიუდო 16 ბავშვი, ჭადრაკი 16 ბავშვი, კრივი 12 ბავშვი, მაგიდის ჩოგბურთი 16 ბავშვი, კალათბურთი 16 ბავშვი, ტაეკვონდო 16 ბავშვი, მძლეოსნობა 16 ბავშვი, ველოსპორტი 12 ბავშვი, ნიჩბოსნობა 16 ბავშვი, სულ ცენტრში სპორტის სახეობებს უფლება 200 მოსწავლე. საწვრთნელი პროცესები უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ, სპორტის ცენტრში დასაქმებულია 66 თანამშრომელი, მ.შ. ადმინისტრაციული პერსონალი, მწვრთნელ-მასწავლებელი, მედიცინის მუშაკი, ტექნიკური თანამშრომლები, ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს მონაწილეობას ლეზულობენ სპორტულ შეკრებებში და ტურნირებში, როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მეტი მოზარდის ჩართვას სპორტის სახეობებში, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით და საზღვარგარეთაც.
მოსალოდნელი შედეგი	სპორტის ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს რეგულაციების შესაბამისად, ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით და მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა.

პროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		256.8
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ზანა“.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ფეხბურთის პოპულარიზაცია, სპორტის აღნიშნული სახეობის განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა. ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სკოლისგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. ჯანსაღი და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა და დამკვიდრება, ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა, ეროვნული ნაკრების გუნდებისთვის რეზერვის მიწოდება.		
მოსალოდნელი შედეგი	მაღალი სპორტული შედეგების ჩვენება. საფეხბურთო შეჯიბრებებზე მაქსიმალური სპორტული ცოდნისა და ჩვევების რეალიზება ამალგებული სპორტული შედეგების მიღწევა. ჯანსაღი თაობის აღზრდა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		353.8
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდობის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით, ხორციელდება სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:</p> <p>სოფ. გეზათში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები - 100.2 ათ. ლარი; სოფ. მაიდანში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები - 102.4 ათ. ლარი; სოფ. ნორიოში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები - 115.2 ათ. ლარი; (საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით)</p> <p>ქ. აბაშაში პოლიციის მიმდებარედ თავისუფლების ქუჩაზე მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები - 2.7 ათ. ლარი; ქ. აბაშაში დ. კაჭარავას ქუჩაზე მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები - 2.7 ათ. ლარი; (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით)</p> <p>დაგეგმილია აბაშის მუნიციპალიტეტში ცენტრალური სტადიონის შენობის სახურავის გადახურვის სამუშაოები 169 მ2 - 30.6 ათ. ლარი (საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებით)</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. სპორტის პოპულარიზაცია		



პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 04		15.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები: ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ შემოთავაზებული პროექტის „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ მუნიციპალური ტურის ჩატარება. გამარჯვებული გუნდებისათვის სპორტული ფორმების შეძენა და ტრანსპორტით უზრუნველყოფა რეგიონალურ ტურში მონაწილეობის მიზნით. სპორტის საერთაშორისო დღის (6 აპრილი) აღნიშვნა, ევროპის სპორტის კვირეულში (23-30 სექტემბერი) მონაწილეობა. ოლიმპიური დღის (23 ივნისი) აღნიშვნა. წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების პრემირება.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სპორტში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		1078.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა; მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ცენტრი, ხელოვნების სკოლა, 2 მუზეუმი და 5 სოფლის კლუბი, ასევე ერთი მთავარი ბიბლიოთეკა და 17 სასოფლო საბიბლიოთეკო გაერთიანება		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებს რეგულაციის შესაბამისად. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (თანამდებობრივი სარგო და სხვ.)		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		39.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „საინფორმაციო მაუწყებელი - აბაშის მაცნე“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია დიდი იყოს გაზეთის როლი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მუშაობაში, გაზეთის საშუალებით გაშუქდეს მიმდინარე ახალი ამბები, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები. ასევე მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობა.		
მოსალოდნელი შედეგი	ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება.		



პროგრამის დასახელება	კოდი	სხვა კულტურული ღონისძიებები	ათას ლარში
	05 02 03		50.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში გახორციელდება:</p> <p>*კულტურული მემკვიდრეობის დღეები, - ჩატარდება საგანმანათლებლო ღონისძიებები (ლექცია-კონცერტი, ვიქტორინა, თემების პრეზენტაციები), მოეწყობა თემატური გამოფენები, ისტორიული ძეგლების მიმდებარე ტერიტორიების გაწმენდითი სამუშაოები, მასტერკლასები.</p> <p>მიზანი: წაახალისოს საზოგადოების მონაწილეობა და ჩართვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში; მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება</p> <p>*„ვეფხისტყაოსნის“ სამაგიდო თამაშის რაიონული ტურნირი</p> <p>ტურნირი ითვალისწინებს ლექციას, თამაშის ჩატარებას, გამარჯვებულების გამოვლენას, დაჯილდოვებას. სამაგიდო თამაში ტექსტის სიღრმისეულად გაგებისა და გათავისების ძალიან კარგი საშუალებაა და რუსთველისეულ სიტყვიერ სამყაროში მოგზაურობის უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა, მისი მიზანი „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაცია და თანამედროვე ინტერაქტიულ გარემოში დაბრუნებაა.</p> <p>*მიღწეული წარმატებებისათვის, დამსახურებისათვის, აბაშაში მცხოვრებ ხელოვანთა და კულტურის სფეროს მოღვაწეთა, სახელოვნებო განათლების პედაგოგთა, მოსწავლეთა დაჯილდოვება. მიზანი-აბაშაში მცხოვრებ, მოღვაწე ხელოვან ადამიანთა ღვაწლის დაფასება, ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.</p> <p>*„აბაშის საზაფხულო-საყმაწვილო კინო-სკოლა“.</p> <p>* მოძრავი კინოთეატრი - ტექნიკური აღჭურვა.</p> <p>მიზანი: კინოხელოვნების პოპულარიზაცია, კინოხელოვნების განათლების ხელშეწყობა.</p> <p>*შემხვედრი ღონისძიებების ორგანიზება - გულისხმობს იმ მასობრივი კულტურული ღონისძიებების მოწყობას/თანაორგანიზატორობას, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავლფეროვნებას, შემოქმედებითი, მათ შორის ადგილობრივი, ჯგუფების პოპულარიზაციის, მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდას.</p> <p>ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>პროექტის ფარგლებში იგეგმება ექსპერტებისა და მკვლევარების მოწვევა, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ტურისტული პოტენციალის გამოვლენისა და განვითარებისთვის, ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების შემდეგ (სამსახურთან ერთად) მომზადებული გეგმის მიხედვით მოხდება იმ მიმართულებების (ეკლესიები, კულინარია, სათავგადასავლო ტურიზმი და სხვა) განვითარება, რომელიც იქნება პრიორიტეტად განსაზღვრული და შევთავაზებთ ტურ-ოპერატორებს ტურისტული მარშრუტების დასაგეგმად.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>*მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში მოსახლეობის ყველა სოციოლოგიური ფენის აქტიური მონაწილეობისა და ჩართულობის ზრდა.</p> <p>*ადგილობრივი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, ცნობიერების ამაღლება.</p> <p>*შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების, სახელოვნებო განათლების მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია.</p> <p>*მოსწავლე-ახალგაზრდებში ინტელექტუალური აქტივობებისადმი ინტერესის გაღვივება.</p> <p>*კონოხელოვნებით დაინტერესებულთა რიცხოვნების ზრდა</p> <p>*მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია.</p> <p>ტურიზმის განვითარებისთვის სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბება</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	-------------------------------------	------------------------



	05 02 04	50.0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	რელიგიური ორგანიზაციათა კანონით ნებადართული აქტივების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა ფინანსური ხელშეწყობის უზრუნველყოფა.	
მოსალოდნელი შედეგი	ეკლესიის როლის გაძლიერება საზოგადოების ფართო ფენისთვის, მაღალი მორალურ-ზნეობრივი სულისკვეთების ფორმირებაში.	

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		14.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ისეთი ღონისძიებები როგორცაა: აბაშის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 2023-2024 სასწავლო წლის სსიპ აბაშის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულების, რომლებმაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (100% საგრანტო ქულის) საფუძველზე მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება, ერთჯერადი ფულადი ჯილდოს სახით 500 (ხუთასი) ლარით დაფინანსებას; განსაკუთრებული ნიჭის და მიდრეკილების მქონე ახალგაზრდების</p> <p>მხარდაჭერას; „ახალგაზრდული დღეები - აბაშა 2024“; ახალგაზრდობისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ტრენინგის მოწყობას: - პიროვნული უნარების, სამოქალაქო პასუხისმგებლობის და სახელმწიფოებრივი თვითშეგნების განვითარების საკითხებზე; „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის“ ფარგლებში სკოლების ადგილობრივ გარემოსდაცვით ინიციატივების მხარდაჭერას; საქართველოს „სიცილის ლიგისა“ და ტელეკომპანია პოსტივის იუმორისტულ ჩემპიონატში აბაშის გუნდის - „სულგუგუნის“ მონაწილეობას; ფეინდბოლის პოპულარიზაცია და ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდაჭერას - აბაშის მუნიციპალიტეტის ჩემპიონატის გამართვას ფეინდბოლში. პროგრამის მიზანია ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, ახალგაზრდობისთვის არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობა, ახალგაზრდობის ჩართულობა მასობრივ ღონისძიებებში, ახალგაზრდობის ნიჭისა და უნარების თვითრეალიზების საშუალების მიცემა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებს განუვითარდებათ კომპეტენციები - ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანად მონაწილეობისთვის და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებისთვის. ახალგაზრდების მიერ მხარდაჭერილი/წარდგენილი პროექტების ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ფინანსური/ტექნიკური საშუალებების უზრუნველყოფით განხორციელებულ პროექტების ზრდა. მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება და ხელშეწყობა.		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 096.8 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1096.8
06 01	ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება	286.9
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	286.9



06 02	მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონალური მომსახურება და ამბულატორიების მშენებლობა	361.7
06 02 01	მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა	350.0
06 02 02	ამბულატორიების მშენებლობა-რემონტი	11.7
06 03	სოციალური დაცვა	448.2
06 03 01	მზრუნველობამოკლებული მოსახლეობის უფასო კვების პროგრამა	87.5
06 03 02	სტიქიით (ხანძარი, ძლიერი ქარი, წყალდიდობა და სხვ.) დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა	22.3
06 03 03	დედ-მამით ობოლი ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა	1.8
06 03 04	მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახების და მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის დახმარების პროგრამა (ბავშვები 0-დან 18 წლის ასაკამდე).	17.5
06 03 05	მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე ვეტერანების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარების პროგრამა	40.0
06 03 06	მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახების დახმარების პროგრამა (ვეტერანის გარდაცვალებისას)	2.5
06 03 07	გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამა	5.5
06 03 08	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0 დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა	13.0
06 03 09	ყრუ-მუნჯებისა და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციის შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეების დახმარების პროგრამა	4.0
06 03 10	დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭერის პროგრამა	60.6
06 03 11	მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის (I ჯგუფი) მქონე პირების დახმარების პროგრამა	42.5
06 03 12	შშმ ბავშვთა დღის ცენტრის მომსახურებით მოსარგებლე ბავშვთა ხელშეწყობის პროგრამა	6.0
06 03 13	მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტი შვილი 0 დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.	110.0
06 03 14	ასი წლის და ასზე უხნესი ასაკის უხუცესთა დახმარების პროგრამა	2.0
06 03 15	სკრინინგ ცენტრში ბენეფიციარების ტრანსპორტირების მხარდაჭერის პროგრამა	
06 03 16	ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა	20.0
06 03 17	თავმესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა	3.0
06 03 18	სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების დახმარების პროგრამა	5.0
06 03 19	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	5.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		286.9
პროგრამის განმანახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახური		



<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებულ რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნას ითხოვს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემების გადაჭრა გულისხმობს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილებას. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში შექმნილია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ეპიდემიამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზი, მალარია და პარაზიტული დაავადებები) 2. იმუნიზაცია 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროგრამა <p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სანიტარული განათლების ამაღლება, სანიტარულ-ჰიგიენური ჯანსაღი გარემოს შექმნა, იმუნური ფონის გაზრდა, მართვადი ინფექციების მინიმუმამდე შემცირება იმუნური ფონის გაზრდით. განსაკუთრებით საშიში ინფექციათა დაავადებით ავადობის მაჩვენებლის მკვეთრი შემცირება, ნარკომანიისა და თამბაქოს პრევენცია, პირადი ჰიგიენის ჩვევების გამომუშავება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 18 და + ასაკის ბენეფიციარების სკრინინგი, სწრაფი მარტივი ტესტით, ტუბერკულოზის, აივ შიდსისა და ც ჰეპატიტის ნაადრევი გამოვლენის თვალსაზრისით პროგრამაში პირველადი ჯანდაცვის რგოლის ჩართვით. ასევე დადებით ანუ პოზიტიური შემთხვევების მკურნალობაში ჩართვა. პროგრამის მიზანია ტუბერკულოზის, აივ შიდსის, ც ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის ხელშეწყობა, მკურნალობა, შორეული გართულების პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 18 და + ასაკის ბენეფიციარების სკრინინგი, სწრაფი მარტივი ტესტით, ტუბერკულოზის, აივ შიდსისა და ც ჰეპატიტის ნაადრევი გამოვლენის თვალსაზრისით პროგრამაში პირველადი ჯანდაცვის რგოლის ჩართვით. ასევე დადებით ანუ პოზიტიური შემთხვევების მკურნალობაში ჩართვა. პროგრამის მიზანია ტუბერკულოზის, აივ შიდსის, ც ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის ხელშეწყობა, მკურნალობა, შორეული გართულების პრევენციის მიზნით.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება</p>

<p>პროგრამის დასახელება</p>	<table border="1"> <tr> <td data-bbox="352 920 483 1014"> <p>კოდი</p> <p>06 02 01</p> </td> <td data-bbox="483 920 1393 1081"> <p>მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა</p> </td> <td data-bbox="1393 920 1559 1081"> <p>დაფინანსება ათას ლარში</p> <p>350.0</p> </td> </tr> </table>	<p>კოდი</p> <p>06 02 01</p>	<p>მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში</p> <p>350.0</p>
<p>კოდი</p> <p>06 02 01</p>	<p>მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში</p> <p>350.0</p>		
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>			
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარების სამედიცინო მომსახურების იმ წილის დაფინანსებას ან თანადაფინანსებას, რაც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით, სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით, ან/და კრძოლ სადაზღვევო კომპანიის მიერ. ამ პროგრამით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები, მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირები. სამედიცინო მომსახურების პროგრამით ბენეფიციარებს დახმარება გაეწევათ წელიწადში ერთჯერ, ერთგვარ სამედიცინო მომსახურებაზე (მაგ: მაღალ ტექნოლოგიური გამოკვლევა, გამოკვლევა, ქირურგიული მკურნალობა, სხივური თერაპია და სხვა). გარდა 0-დან 5 წლის ასაკის ბავშვებისა და ბენეფიციარებისა, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში და გააჩნიათ სარეიტინგო ქულა 0 დან 200.000 ის ჩათვლით.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან ბავშვები, (0-დან 18-წლამდე) ასევე შშმ პირები, რომლებიც საჭიროებენ აბილიტაციას/რეაბილიტაციას სპეციალიზირებულ ან სამედიცინო დაწესებულებებში.</p> <p>სამედიცინო მომსახურების ღონისძიებების თანადაფინანსება დიფერენცირებულია და პაციენტის დაუფინანსებელ (გადასახდელ) წილში განსაზღვრულია:</p> <p>ა) ბენეფიციარები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში და გააჩნიათ სარეიტინგო ქულა 0 დან 100000 ჩათვლით, სამედიცინო მომსახურების მოთხოვნისას დაფინანსდეს: 100 ლარიდან 500 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში 100%-ით, ხოლო 501 ლარიდან ზემოთ ღირებულების შემთხვევაში 80%-ით, მაგრამ არა უმეტეს 1500 ლარისა.</p> <p>ბ) ბენეფიციარები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში და გააჩნიათ სარეიტინგო ქულა 101000 დან 200000 ჩათვლით, სამედიცინო მომსახურების მოთხოვნისას დაფინანსდეს:</p> <p>გ) 200 ლარიდან ღირებულების -70%-ით, მაგრამ არა უმეტეს 1500 ლარისა</p> <p>დ) ბენეფიციარები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში და გააჩნიათ სარეიტინგო ქულა 200000-ზე ზევით, ან არ არიან რეგისტრირებულნი სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში და არ გააჩნიათ სარეიტინგო ქულა, სამედიცინო მომსახურების მოთხოვნისას დაფინანსდეს:</p> <p>ე) 250 ლარიდან 1000 ლარამდე, ღირებულების შემთხვევაში - 50%-ით</p> <p>ვ) 1001 ლარიდან 2000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში - 40%-ით</p>			



ზ) 2001 ლარიდან ზემოთ ღირებულების შემთხვევაში - 30%-ით, მაგრამ არა უმეტეს 1200 ლარისა.

თ) 0-დან 5 წლის ასაკის ბავშვებისათვის გადაუდებელი სტაციონარული სამედიცინო მომსახურება დაუფინანსებელ წილში განისაზღვროს: 50 ლარიდან 500 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში 100%-ით, 501 ლარიდან ზემოთ ღირებულების შემთხვევაში -70%-ით, მაგრამ არა უმეტეს 1500 ლარისა.

მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა.
--------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	ამბულატორიების მშენებლობა-რემონტი	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		11.7
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საექიმო ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციას (საქართველოს მთავრობის 2019 წლის N554 განკარგულებით) და თანადაფინანსებით სოფ. ტყვირის, ზანათის, სამიქაოს, ნორიოს, გეზათის, მარნის და ნაესაკოვოს საექიმო ამბულატორიების მშენებლობა - 11707.02 ლარი; (ხარისხის უზრუნველყოფის გარანტია)		
მოსალოდნელი შედეგი	გარემონტებული საექიმო ამბულატორიები ხელს შეუწყობს მოსახლეობას შეუქმნას უსაფრთხო გარემო		

პროგრამის დასახელება	კოდი	მზრუნველობა მოკლებული მოსახლეობის უფასო კვების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 01		87.5
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უმწეო მდგომარეობაშია და განიცდის საკვები პროდუქტების სიმცირეს. მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ხელმიუწვდომელია სრულფასოვანი საკვები. გაუარესებულია ჯანმრთელობის მდგომარეობა, თანხის უდიდესი ნაწილი ეხარჯებათ მედიკამენტებში. აქვთ ცუდი საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური პირობები.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი უფასო სასადილო მზრუნველობა მოკლებულთათვის, სადაც დღეში ერთხელ ყოველდღიურად იკვებება 50 ბენეფიციარი. ამ პროგრამით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უმწეო მდგომარეობაში მყოფი სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები, მათ შორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 70 000-მდე.		
მოსალოდნელი შედეგი	უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირთა კვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიით (ხანძარი, ძლიერი ქარი, წყალდიდობა და სხვ.) დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 02		22.3
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება 3000 ლარის ოდენობით, საცხოვრებლის სრულად განადგურებისას ან როდესაც სტიქიისგან საცხოვრებელი უვარგისია საცხოვრებლად. სტიქიისგან ნაწილობრივ დაზიანებისას 1500 ლარამდე. ამ ქვეპუნქტით ისარგებლებს ოჯახი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში		



მიზანი	და სარეიტინგო ქულა არის 0-დან 100000-ის ჩათვლით; მოქალაქეთა მდგომარეობა სტიქიით (ხანძრი, ქარი, წყალდიდობა) დაზარალების შედეგად განსაკუთრებით მძიმეა, მათი ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურება კი პირველ ეტაპზე ხელს უწყობს, მათ მოახდინონ საცხოვრებლის რეაბილიტაცია და შეძლონ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.
მოსალოდნელი შედეგი	დაზარალებული ოჯახების ყოფითი პირობების ნაწილობრივი გაუმჯობესება.

პროგრამის დასახელება	კოდი	დედ-მამით ობოლი ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 03		1.8
პროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამით ობოლი ბავშვები განსაკუთრებულ ზრუნვას და თანადგომას საჭიროებენ. მნიშვნელოვანია მათი სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება.</p> <p>პროგრამით გათვალისწინებულია დედ-მამით ობოლი ბავშვზე ერთჯერადი დახმარების გაწევა 300 ლარის ოდენობით</p>		
მოსალოდნელი შედეგი	დედ-მამით ობოლი ბავშვების ოჯახების თანადგომა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახების და მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის დახმარების პროგრამა (ბავშვები 0-დან 18 წლის ასაკამდე).	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 04		17.5
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარჩენალდაკარგული ბავშვები ან მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის შვილები დამატებით განსაკუთრებულ ზრუნვას და თანადგომას საჭიროებენ. მნიშვნელოვანია მათი ოჯახების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება-ხელშეწყობა.</p> <p>პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარჩენალდაკარგული ბავშვების ან მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის ხელშეწყობა (ბავშვები 0-დან 18 წლის ასაკამდე) ერთჯერადი დახმარების გაწევა თითოეულ ბავშვზე 150 ლარის ოდენობით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მარჩენალდაკარგული ბავშვების და მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე ვეტერანების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 05		40.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და	<p>მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის მონაწილე ვეტერანების უმრავლესობას შერყეული აქვს ჯანმრთელობა, მუდმივად საჭიროებენ დახმარებას და თანადგომას. მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე ვეტერანების დახმარების პროგრამა.</p> <p>პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ომის მონაწილე ვეტერანების ხელშეწყობა, კერძოდ:</p> <p>ა) II მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანი - 1000 ლარი (წელიწადში ერთჯერ);</p>		



მიზანი	<p>ბ) ასაკით პენსიონერი ომის მონაწილე ვეტერანი - 200 ლარი (წელიწადში ერთჯერ).</p> <p>გ) ომის მონაწილე სხვა ვეტერანი -150 ლარი (წელიწადში ერთჯერ).</p> <p>დ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრზე: - 500 ლარი (წელიწადში ერთჯერ)</p>
მოსალოდნელი შედეგი	ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახების დახმარების პროგრამა (ვეტერანის გარდაცვალებისას)	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 06		2.5
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახზე დასაფლავების ხარჯების გაწევამი მატერიალური თანადგომა. დასაფლავების ხარჯის გამღებ პირზე კანონმდებლობით განსაზღვრული ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცემა 250 ლარის ოდენობით.		
მოსალოდნელი შედეგი	ომის მონაწილე ვეტერანთა ოჯახების სოციალური მხარდაჭერა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამა.	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 07		5.5
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 2400 იძულებით გადაადგილებული პირი. მათ ოჯახებს ესაჭიროება მატერიალური და მორალური თანადგომა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებზე დასაფლავების ხარჯების გაწევამი მატერიალური თანადგომა. დასაფლავების ხარჯის გამღებ პირზე ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცემა 250 ლარის ოდენობით.		
მოსალოდნელი შედეგი	დევნილი ოჯახების ფინანსური დახმარება		

პროგრამის დასახელება	კოდი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 08		13.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 50-მდე შშმ ბავშვები, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ მზრუნველობას, მკურნალობას.</p> <p>შშმ ბავშვთა ოჯახებზე პროგრამით გათვალისწინებულია ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 ლარის ოდენობით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამა უზრუნველყოფს შშმ ბავშვების ხელშეწყობას		



პროგრამის დასახელება	კოდი	ყრუ-მუნჯებისა და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციის შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეების დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 09		4.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ყრუ-მუნჯები და „ჩერნობილელები“, რომლებსაც გააჩნიათ შშმ პირის სტატუსები, მუდმივად საჭიროებენ დახმარებას და თანადგომას. მათ უმრავლესობას შერყეული აქვს ჯანმრთელობა. პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იმ ბენეფიციარების დახმარება, რომლებიც არიან ყრუ-მუნჯები და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეები, კერძოდ: აღნიშნული სტატუსის მქონე პირებზე გათვალისწინებული ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 ლარის ოდენობით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ყრუ-მუნჯებისა და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეების სოციალური მხარდაჭერა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭერის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03 10		60.6
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
